პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი შაბათი 28 ნოემბერი № 275 (18217) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კოოპერაციონერთა დიდი ბჭობა

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ სისტემის კვების მრეწველობის ბევრმა საწარმომ მიიღო ახალი მოწყობილობა, რომელიც ნავარაუდევია ადგილობრივი რესურსების, მეორეული და დაზოგილი ნედლეულის გამოყენებისათვის. უკვე დღეს მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში. ეს ითქვა 27 ნოემბერს თბილისში გამართულ სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარზე „საქართველოს სამომხმარებლო კავშირის გამოცდილება კოოპერაციული მრეწველობის განვითარებასა და სასაჭონლო რესურსების გადიდებაში“. თათბირ-სემინარში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირ-სემინარის პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარე ა. ა. სმირნოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ამხანაგები ზ. ა. პატარიძე, ზ. ა. ჩხეიძე და ნ. ა. ჭითანავა.

თათბირ-სემინარი გახსნა სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ა. ა. სმირნოვმა.

— საქართველოს კოოპერატორებმა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვეს, — ხაზგასმით აღნიშნა მან. მეათე ხუთწლედის განმავლობაში მათ გამოუშვეს თითქმის მილიარდი მანეთის პროდუქცია, რომელზეც მოსახლეობის ფართო მოთხოვნაა. მათი გამოცდილება სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის სასურსათო საქონლის წარმოებაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის — სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მუშაკთა დიდ ინტერესს იწვევს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეს თათბირ-სემინარი თქვენს რესპუბლიკაში იმართება. ქართველ კოოპერატორებს ბევრი რამ აქვთ, რის გადაღებაც შეგვიძლია, და მათთვისაც ერთობ სასარგებლო იქნება გაეცნონ სხვა რესპუბლიკებში მომუშავე კოლეგების გამოცდილებას.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

თბილისში მოწვეული სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის მუშაობა, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ჩვენმა დიდად პატივცემულმა ალექსი ალექსის ძე სმირნოვმა, როცა ესოდენ წარმომადგენლობითი ფორუმი გახსნა, მართლაც რომ, ღირსშესანიშნავ დროს იწყება.

სულ ახლახან გაიმართა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ტრადიციულად [illegible] მებრ ორი წლის შესაყარზე შეიკრიბა. როგორც ყოველთვის, მან შეაჯამა მიმავალი წლის შედეგები და დასახა საგანისოდ სამეურნეო მიჯნები. და როგორც ყოველთვის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ პლენუმზე არა მარტო მისცა მიმართულება მის მუშაობას, არამედ განსაზღვრა კიდეც პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობის პროგრამა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, შემდეგ გამართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად, მხურვალედ მოიწონეს მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. ისინი მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანებს, მის სწრაფტემპს, რაც შეადგენს ხაფუძველს სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის, რომელიც, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის ცენტრალური პრობლემაა, როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

აქ სხვა რამეც მინდა მოგახსენოთ. ის, რომ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების მიღმა ჩვენი პარტია — და ამის მაგალითს, ისევე როგორც ყველაფერში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი გვაძლევს — ხედავს უწინარეს ყოვლისა ადამიანს, წინა პლანზე აყენებს ჩვენი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას.

გულის სიღრმემდე სწვდება ადამიანს ის, თუ რა სიყვარულით, რა გულითადობით, მათი ძნელი, თავდადებული, თუ განებავთ, გმირული შრომის რა გაგებით ლაპარაკობდა სოფლის მშრომელებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

ასეთი მზრუნველი, ასეთი ყურადღებიანი, ასეთი პატივისმცემელური დამოკიდებულება იმათი გამოჯე, მძლავრი მარჯვენისადმი, ვინც მიწას ხნავს და პირუტყვს უვლის, იმათდამი, ვისაც კულტურა შეაქვს სოფელში, თვალსაზრისი გამოსჩენია ლეონიდ ილიას ძის სიტყვებში იმაზეც, რომ ხუთწლედი ჩვენში მოუსავლიანი წლით დაიწყო, რომ სოფლის მეურნეობისათვის არახელსაყრელი

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

ᲛᲣᲮᲚᲘ 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს [illegible]ერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო [illegible]ეტო უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდ[illegible] კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის [illegible]ნილში 2.414.278 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.414.278 [illegible]ასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის [illegible]ანვრისათვის 69.500 ათასი მანეთის ოდენობით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო [illegible]ეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო[illegible]ის და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო [illegible]ნებლის საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანა[illegible]ცენები საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოცია[illegible]ისტური მეურნეობიდან — სულ 2.117.726 ათასი მანეთის ოდე[illegible]ბით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწი[illegible]ო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად— [illegible]მრეწველო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სო[illegible]ლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნე[illegible]ობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვი[illegible]არებისათვის — სულ 1.087.547 ათასი მანეთის ოდენობით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო [illegible]ეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის: [illegible] ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, [illegible]მუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნი[illegible]ო-საკვლევი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, [illegible]ეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლო[illegible]ის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საა[illegible]დმყოფოების, სანავშო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთ[illegible]ობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისა[illegible]ის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 1.265.768 ათასი [illegible]ნეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვე[illegible]ის ბიუჯეტით 282.700 ათასი მანეთი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწი[illegible]ო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოე[illegible]ის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და სასამართლოების [illegible]ესახად 36.909 ათასი მანეთის ოდენობით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1982 წლის რესპუბ[illegible]ლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.210.682 ათასი მანეთი და [illegible]ასავლის ნაწილში 1.673.522 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭო[illegible]ს სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და [illegible]ტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა [illegible] და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ [illegible]ესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრები 537.110 ათასი [illegible]ნეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის 1 [illegible]ანვრისათვის 36.666 ათასი მანეთი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა [illegible]ციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავ[illegible]ონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა [illegible] რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1982 წლისათვის შემდეგი [illegible]ანხებით:

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	გასავალი	საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის 1 იანვრისათვის
[illegible]ტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები და [illegible]აიონები				
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	78.923,8	54.924,5	78.923,8	3.942
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	54.842,2	40.228,7	54.842,2	2.712
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	24.357,7	21.846,0	24.357,7	1.215
4. ქალაქი თბილისი	206.512,0	126.698,8	206.512,0	6.187
5. ქალაქი ქუთაისი	30.996,2	18.741,4	30.996,2	1.549
6. ქალაქი ფოთი	6.689,1	4.582,8	6.689,1	335
7. ქალაქი ჭიათურა	9.261,9	7.748,1	9.261,9	462
8. ქალაქი რუსთავი	18.681,3	13.666,9	18.681,3	935
9. ქალაქი გორი	7.625,8	4.083,4	7.625,8	378
10. ქალაქი ტყიბული	5.746,5	5.033,9	5.746,5	286
11. ქალაქი ზუგდიდი	7.287,2	5.219,7	7.287,2	364
12. ქალაქი წყალტუბო	6.650,3	2.692,5	6.650,3	331
13. ახაშის რაიონი	4.162,9	3.571,1	4.162,9	207
14. ადიგენის რაიონი	3.492,9	3.131,1	3.492,9	173
15. ამბროლაურის რაიონი	3.636,4	3.004,0	3.636,4	182
16. ახალციხის რაიონი	2.698,2	2.391,2	2.698,2	133
17. ახალქალაქის რაიონი	7.596,3	6.681,8	7.596,3	378
18. ახალციხის რაიონი	6.867,9	6.020,1	6.867,9	342
19. ახმეტის რაიონი	5.597,7	4.006,6	5.597,7	279
20. ბოგდანოვკის რაიონი	5.136,8	4.653,2	5.136,8	256
21. ბოლნისის რაიონი	7.027,0	5.551,8	7.027,0	351
22. ბორჯომის რაიონი	4.971,7	3.816,1	4.971,7	247
23. გარდაბნის რაიონი	9.232,3	7.208,1	9.232,3	460
24. გეგეჭკორის რაიონი	6.337,9	5.340,3	6.337,9	316
25. გორის რაიონი	7.526,7	6.457,0	7.526,7	376
26. გურჯაანის რაიონი	7.271,7	5.451,1	7.271,7	362
27. დმანისის რაიონი	5.460,5	4.702,8	5.460,5	273
28. დუშეთის რაიონი	5.467,4	4.464,4	5.467,4	272
29. ვანის რაიონი	4.574,7	3.871,4	4.574,7	228
30. ზესტაფონის რაიონი	7.890,5	5.839,5	7.890,5	393
31. ზუგდიდის რაიონი	7.873,0	7.018,8	7.873,0	392
32. თეთრი წყაროს რაიონი	4.606,0	3.677,7	4.606,0	230
33. თელავის რაიონი	9.055,1	7.807,3	9.055,1	451
34. თერჯოლის რაიონი	4.974,6	3.811,6	4.974,6	248
35. თიანეთის რაიონი	3.430,5	2.920,2	3.430,5	171
36. კასპის რაიონი	5.570,9	4.615,0	5.570,9	276
37. ლაგოდეხის რაიონი	6.165,9	5.122,8	6.165,9	307
38. ლანჩხუთის რაიონი	5.249,9	4.368,7	5.249,9	263
39. ლენტეხის რაიონი	3.387,9	3.079,8	3.387,9	169
40. მაიაკოვსკის რაიონი	4.133,8	3.026,6	4.133,8	206
41. მარნეულის რაიონი	9.699,2	7.321,3	9.699,2	484
42. მახარაძის რაიონი	10.438,6	8.546,9	10.438,6	522
43. მესტიის რაიონი	4.379,4	3.920,7	4.379,4	217
44. მცხეთის რაიონი	5.954,7	4.750,1	5.954,7	297
45. ონის რაიონი	2.971,5	2.561,4	2.971,5	148
46. ორჯონიკიძის რაიონი	4.458,7	3.904,7	4.458,7	221
47. საგარეჯოს რაიონი	5.403,8	3.480,3	5.403,8	270
48. სამტრედიის რაიონი	6.800,1	5.088,2	6.800,1	339
49. საჩხერის რაიონი	5.201,5	4.096,7	5.201,5	259
50. სიღნაღის რაიონი	5.710,1	4.349,0	5.710,1	285
51. ქარელის რაიონი	5.300,0	4.384,2	5.300,0	264
52. უაზბეგის რაიონი	1.991,9	1.739,1	1.991,9	99
53. ყვარლის რაიონი	5.035,6	4.126,6	5.035,6	251
54. ჩოხატაურის რაიონი	4.429,4	3.740,5	4.429,4	221
55. ჩხოროწყუს რაიონი	5.096,8	4.332,6	5.096,8	254
56. ცაგერის რაიონი	3.592,3	3.173,4	3.592,3	179
57. ცხაკაიას რაიონი	6.116,0	5.002,7	6.116,0	305
58. წალენჯიხის რაიონი	5.845,4	4.980,0	5.845,4	292
59. წალკის რაიონი	6.120,2	5.372,9	6.120,2	306
60. წითელწყაროს რაიონი	4.721,3	3.842,1	4.721,3	236
61. წულუკიძის რაიონი	4.878,2	3.946,3	4.878,2	243
62. ხაშურის რაიონი	5.701,4	4.440,0	5.701,4	284
63. ხობის რაიონი	4.438,8	3.689,0	4.438,8	221
სულ	740.751,0	537.110,0	740.751,0	32.834,0

ᲛᲣᲮᲚᲘ 8. დამტკიცდეს 1982 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

	მოსახლეობის სა შემოსავლო დიდან	ბრუნვის დიდან
ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები და რაიონები	ანარიცხების პროცენტები	
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	38	39,2
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	27	54,8
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	88	66,6
4. ქალაქი თბილისი	10	7,8
5. ქალაქი ქუთაისი	20	8,1
6. ქალაქი ფოთი	48	38,6
7. ქალაქი ჭიათურა	50	25,7
8. ქალაქი რუსთავი	52	54,7
9. ქალაქი გორი	51	43,0
10. ქალაქი ტყიბული	50	78,1
11. ქალაქი ზუგდიდი	52	36,2
12. ქალაქი წყალტუბო	12	2,4
13. ახაშის რაიონი	50	61,9
14. ადიგენის რაიონი	75	87,9
15. ამბროლაურის რაიონი	63	66,8
16. ახალციხის რაიონი	100	42,8
17. ახალქალაქის რაიონი	48	20,3
18. ახალციხის რაიონი	50	23,8
19. ახმეტის რაიონი	79	55,1
20. ბოგდანოვკის რაიონი	50	13,5
21. ბოლნისის რაიონი	50	68,7
22. ბორჯომის რაიონი	49	5,9
23. გარდაბნის რაიონი	32	10,3
24. გეგეჭკორის რაიონი	50	15,2
25. გორის რაიონი	31	9,8
26. გურჯაანის რაიონი	11	3,4
27. დმანისის რაიონი	54	13,9
28. დუშეთის რაიონი	60	69,6
29. ვანის რაიონი	50	8,2
30. ზესტაფონის რაიონი	25	6,5
31. ზუგდიდის რაიონი	60	40,9
32. თეთრი წყაროს რაიონი	50	16,4
33. თელავის რაიონი	35	10,3
34. თერჯოლის რაიონი	40	6,8
35. თიანეთის რაიონი	72	10,8
36. კასპის რაიონი	49	7,0
37. ლაგოდეხის რაიონი	40	15,4
38. ლანჩხუთის რაიონი	40	22,1
39. ლენტეხის რაიონი	71	71,3
40. მაიაკოვსკის რაიონი	50	33,0
41. მარნეულის რაიონი	32	9,6
42. მახარაძის რაიონი	29	58,7
43. მესტიის რაიონი	60	32,5
44. მცხეთის რაიონი	24	30,4
45. ონის რაიონი	90	70,2
46. ორჯონიკიძის რაიონი	50	70,2
47. საგარეჯოს რაიონი	15	3,3
48. სამტრედიის რაიონი	27	8,4
49. საჩხერის რაიონი	49	28,1
50. სიღნაღის რაიონი	9	2,7
51. ქარელის რაიონი	50	26,4
52. უაზბეგის რაიონი	90	23,3
53. ყვარლის რაიონი	35	25,7
54. ჩოხატაურის რაიონი	50	6,4
55. ჩხოროწყუს რაიონი	50	69,8
56. ცაგერის რაიონი	100	46,4
57. ცხაკაიას რაიონი	25	2,0
58. წალენჯიხის რაიონი	48	4,5
59. წალკის რაიონი	52	22,3
60. წითელწყაროს რაიონი	36	23,6
61. წულუკიძის რაიონი	37	21,8
62. ხაშურის რაიონი	15	2,8
63. ხობის რაიონი	50	40,3

ᲛᲣᲮᲚᲘ 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	30	კასპის რაიონი	8
ქალაქი ჭიათურა	35	ლაგოდეხის რაიონი	7
ქალაქი ტყიბული	23	ლანჩხუთის რაიონი	9
ქალაქი წყალტუბო	3	ლენტეხის რაიონი	48
აბაშის რაიონი	19	მაიაკოვსკის რაიონი	10
ადიგენის რაიონი	30	მარნეულის რაიონი	4
ამბროლაურის რაიონი	16	მახარაძის რაიონი	3
ასპინძის რაიონი	30	მესტიის რაიონი	38
ახალქალაქის რაიონი	13	მცხეთის რაიონი	9
ახალციხის რაიონი	22	ონის რაიონი	18
ახმეტის რაიონი	10	ორჯონიკიძის რაიონი	23
ბოგდანოვკის რაიონი	15	სამტრედიის რაიონი	8
ბოლნისის რაიონი	13	საჩხერის რაიონი	13
ბორჯომის რაიონი	13	სიღნაღის რაიონი	7
გარდაბნის რაიონი	7	ქარელის რაიონი	15
გეგეჭკორის რაიონი	14	უაზბეგის რაიონი	27
გორის რაიონი	9	ყვარლის რაიონი	10
გურჯაანის რაიონი	3	ჩოხატაურის რაიონი	15
დმანისის რაიონი	25	ჩხოროწყუს რაიონი	17
დუშეთის რაიონი	13	ცაგერის რაიონი	23
ვანის რაიონი	16	ცხაკაიას რაიონი	7
ზესტაფონის რაიონი	10	წალენჯიხის რაიონი	15
ზუგდიდის რაიონი	11	წალკის რაიონი	20
თეთრიწყაროს რაიონი	12	წითელწყაროს რაიონი	8
თერჯოლის რაიონი	10	წულუკიძის რაიონი	14
თელავის რაიონი	11	ხაშურის რაიონი	8
თიანეთის რაიონი	25	ხობის რაიონი	12

ᲛᲣᲮᲚᲘ 10. დამტკიცდეს ანარიცხები 1982 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ საწარმოების, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების თავისუფალი ნაშთიდან პროცენტებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 1981 წლის 24 ნოემბრის № 799 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ განიხილოს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 2.527.988 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 2.447.617 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 80.371 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

გეგმა შესრულებულია ვადამდე!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1981 წლის ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ვადაზე ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ივნვარ-ნოემბრის დავალება.

რესპუბლიკის საწარმოებში გრძელდება შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სიმძლავრეებისა და მოწყობილობის უფრო სრული გამოყენების, სათბობისა და ენერგიის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, რესპუბლიკის დედაქალაქის ინდუსტრიის მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს, რომ ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ივნვარ-ნოემბრის გეგმა. (საქინფორმი).

ᲚᲘᲐ ᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომის დაწყების წინ სასახლის აღსაზრდელებს შეხვდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე.

შემდეგ საპატიო სტუმრები დარბაზში მიიწვიეს.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ჭინქლაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლისადმი წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

საზეიმო სხდომაზე გულთბილად შეხვდნენ ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. ნ. ორჯონიკიძის, პოეტ-აკადემიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ბ. აბაშიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ე. კ. ხარაძის, მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა საქალაქო სასახლის დირექტორის ო. ი. გრეკოვას, 50-70-იანი წლების აღსაზრდელების, მისი ახლანდელი დირექტორის თ. გ. ქელენტის გამოსვლები. ისინი მხურვალედ მიესალმნენ ოუბილარს, მიულოცეს ღირსშესანიშნავი თარიღი სასახლის ყველა მუშაკსა და აღსაზრდელს და ილაპარაკეს იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა იჩენენ მოზარდი თაობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისადმი.

... მრავალფეროვანი ზეიმი დაგვიგვანა სადღესასწაულო კონცერტმა. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1981 წლის 25 ნოემბერს 65 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველ

კოოპერატორთა დიდი ბჭობა

(დასასრული)

ამინდი ჩვენში ლამის ყოველ მეორე წელს არის ხოლმე, და რომ იმათ მუშაობაზე, ვინც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ვერ ვიმსჯელებთ ერთი წლის შედეგებით, რომ ადამიანების, მათი შრომის შეფასებისას უნდა ვითვალისწინებდეთ, რას აღწევენ ისინი როგორც კარგი, ისე ცუდი ამინდის პირობებში, რამდენად მყარი, სტაბილური მათი შრომის შედეგები.

არადა, რა გულითადად და ღრმა პატივისცემით ლაპარაკობდა ლენინდ ილიას ძე ჩვენი ქვეყნის ბევრი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის კარგი, სტაბილური მუშაობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ყველაზე მჭიდროდ, ყველაზე უშუალოდ არის დაკავშირებული დღეს გახსნილ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირ-სემინართან, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანები ის არის, რომ მაქსიმალურად ზრუნვადეს სოფლის მშრომელებისათვის, სოფლად სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის კოოპერაციული მრეწველობის განვითარებისა და სასაქონლო რესურსების გადიდებისათვის, სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, სოფლად ვაჭრობის განვითარებისათვის, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებისათვის. **უნდა ვთქვათ, რომ სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში არ არის იხეთი დარგი, არ არის ისეთი სფერო, რომელშიც მონაწილეობას არ იღებდეს სამომხმარებლო კოოპერაცია.**

სწორედ ამიტომაც დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მივესალმებით კოოპერატორთა საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეებსა და სტუმრებს. გულწრფელად გვახარებს ახალი შეხვედრა ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, ბელორუსიისა და უზბეკეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, ლიტვისა და მოლდავეთის, ლატვიისა და ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის, ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრი ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის წარმომადგენლებთან.

სულითა და გულით მივესალმებით დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარეს ალექსი ალექსის ძე სმირნოვს, რომელსაც ყველანი ვიცნობთ და ვიფასებთ როგორც დიდი ენერგიისა და პრინციპულობის კაცს, მართლაცდა შემოქმედებითად რომ ეკიდება საქმეს.

მადლიერების სიტყვებით მივმართავთ ცენტროსოიუზის გამგეობას, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაყოფილებას იმისათვის, რომ გადაწყვეტილ საქართველოში გაემართათ ახლანდელი საკავშირო თათბირი, რომ ასე ფართოდ, საკავშირო მასშტაბით გადაწყდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის იმ გარკვეული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, რომელიც მან შეიძინა კოოპერაციული მრეწველობის განვითარებისა და სასაქონლო რესურსების გადიდების საქმეში.

ეჭვი არ არის, რომ ახლანდელი თათბირ-სემინარი ჩაივლის ის საკითხების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზების ძიების ნიშნით, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

საბჭოთა საქართველომ, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებმა, დიდი გეგმები დაისახა მეთერთმეტე ხუთწლეულისა და 1982 წლისათვის. ჩვენი მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები განვიხილეთ ახლანან გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს, რომელიც სამოცდაათიან წლებში ავიღეთ, ახლანდელ ხუთწლედშიც შევინარჩუნებთ. ჩვენს პლენუმსა და სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა ჩვენი მშრომელის სამქმიანი პასუხია მაღალ შეფასებაზე, როგორც პარტიის XXVI ყრილობაზე, თბილისში საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე მოგვცა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მიმდინარე წლის მაისში ჩვენს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ მის მკაფიო, ბრძნულ სიტყვაში აღძრულია საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კარდინალური პრობლემები. ლენინდ ილიას ძის მითითებები, მისი რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის მოქმედების მკაფიო და კონკრეტული პროგრამა გახდა.

სამუშაო ბევრი გვაქვს.

დიახ, საბჭოთა საქართველომ, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებმა, ბოლო წლებში ბევრ რამეს მიაღწია. განუხრელად მატულობს სამრეწველო წარმოების მოცულობა, იზრდება შრომის ნაყოფიერება, რეკორდული მოჭრები დაძლიეს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მეციტრუსეებმა, მეცხოველეებმა, სოფლის ყველა მშრომელმა. უმჯობესდება საქმის ვითარება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეტ წილ დარგებში.

მაგრამ მოპოვებული პოზიციები მხოლოდ და მხოლოდ შემდგომი წინსვლის პლაცდარმად მივვიჩნია. და ამიტომ ამოცანად ვისახავთ გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა მეთერთმეტე ხუთწლედში 30-33 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა კი 22-24 პროცენტით. შეუპოვრად ვიმუშავებთ საიმისოდ, რომ უკვე უახლოეს წლებში დავძლიოთ რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენა კონნომიკური განვითარების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, რათა მთლიანად აღმოვფხვრათ ჯერ კიდევ არსებული დისპროპორციები.

ცხადია, ამას ძალები სჭირდება. და ეს ძალები, რა თქმა უნდა, გვაქვს. ჩვენი მთავარი ძალაა პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, ის ყოველდღიური ყურადღება, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკას, უთმობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ჩვენს წარმატებებში უდიდესი როლი შეასრულეს და დღესაც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი საქართველოზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე მიღებულ ცნობილ დადგენილებებში დასახული ამოცანების შესაბამისად რესპუბლიკაში სულ უფრო აქტიურად წარმოებს მუშაობა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდებზე სახალხო მეურნეობის დარგების გადასაყვანად.

მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყოველდღიურ პრაქტიკაში ჩვენ განსაკუთრებულ ადგილზე ვაყენებთ ინ გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ. მათგან უნდა გამოვყოთ სასურსათო პროგრამა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების კომპლექსური პროგრამები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, 2000 წლამდე პერიოდისათვის რესპუბლიკის სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების პროგრამა, სხვა პროგრამები.

შემდგომი დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანებს რომ ვწყვეტთ, ვცდილობთ არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ დარგობრივი დაპრიგრამებით. ჯერ კიდევ მეათე ხუთწლედის დამდეგს საქართველომ ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ყველა შიდარესპუბლიკური რეგიონის მიხედვით კომპლექსური ტერიტორიული გეგმების შედგენა. და ახლა ეს გეგმები „მუშაობენ“ ჩვენი რეგიონების, ჩვენი ქალაქებისა და რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულად ყველა ასპექტისათვის. 30-ზე მეტი რეგიონის მიხედვით მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებს მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა კომპლექსს.

ერთი სიტყვით, გეგმებიც ურიგო არა გვაქვს, და ამოცანებსაც, არსებითად, დიდს ვისახავთ. და, რასაკვირველია, ახლა რესპუბლიკაში ეკონომიკის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული და მიმდინარე ღონისძიებების დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მოგვაჩნია ვაჭრობის, ისევე როგორც მოსახლეობის მომსახურების მთელი სფეროს, განვითარება და სრულყოფა. ამ დარგშიც გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც 1977 წელს დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების საკითხები ყურადღებით შესწავლის საგანი გახდა და ისინი განიხილეს პარტიის რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, მომსახურების სფეროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. უკვე ნათლად ჩანს უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები. საქართველომ რამდენადმე წინ წაიწია საცალო საქონელბრუნვის განვითარებაში, ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვაში. გაძლიერდა ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი. სავაჭრო ორგანიზაციები განმტკიცდა კარგად მომზადებული, კეთილსინდისიერი და პრინციპული მუშაკებით, რომლებმაც კარგად იციან ფულის ანგარიში, არიან ნამდვილი კომერსანტები ამ სიტყვის კარგი და სწორი გაგებით, ისეთები, როგორიც უნდა იყვნენ ამ სფეროში მომუშავე ნამდვილი კომუნისტები.

ამ სფეროში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები იმ დიდი მუშაობის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად. დღეს რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატი ისეთია, რომ აღარ არის ნიადაგი გამომძალველობის, მექრთამეობის, სპეკულაციისათვის, ესე იგი აღმოფხვრილია მათი წარმომშობი მიზეზები. ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ მიმართულია საზოგადოებრივი ზემოქმედების მთელი საშუალებანი და კანონის მკაცრი ძალა. ჩვენ სულაც არ გვგონია, რომ ნეგატიურ ტენდენციებს ბოლო მოეღო. არა ისინი ბოლომდე არ აღმოფხვრილა. მაგრამ ჩვენ ყველას, მათ შორის ჩვენს აქტივს, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. და აუცილებლად მივიყვანთ კიდეც ბოლომდე.

როცა ვეხებით პარტიის კურსს, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი განვითარება და სრულყოფა, მაუსობრივი, ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით ჩვენი მშრომელების მომარაგების გაუმჯობესებისა, არ შეგვიძლია საგანგებოდ არ გავუსვათ **ხაზი სამომხმარებლო კოოპერაციის როლს, რადგან იგი დღეს მრავალდარგოვანი სამეურნეო-საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მთელ სახალხო-სამეურნეო კომპლექსთან.**

სამომხმარებლო კოოპერაცია ასრულებდა და კვლავ ასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს, აგრეთვე **როგორც დიდი უდიდესი სავაჭრო სისტემა, და როგორც მრავალი სასურსათო და არასასურსათო საქონლის უშუალო მწარმოებელი.**

როგორია ჩვენს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის ადგილი და მნიშვნელობა? არ შევუდგები დეტალურ ანალიზს, არ მოვიყვან კონკრეტულ ციფრებს. ამას ალბათ, სხვა ამხანაგები იტყვიან, მე კი აღვნიშნავ: იგი ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. მაშასადამე, ძალზე დიდია მისი ადგილი და მნიშვნელობა. რესპუბლიკის კოოპერატორები მუშაობენ რთულ პირობებში, ზოგჯერ საქონლის მიტანა უხდებათ ძნელად მისასვლელ მთის და დაშორებულ ადგილებში. ბევრს აკეთებს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია სოფლად მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, ფურნეებისა და სხვა ობიექტების ფართო ქსელის განვითარებისათვის.

ახლა რესპუბლიკის რუკაზე კვლავ ჩნდება ერთხანს მივიწყებული, მიტოვებული სოფლები. აღორძინებულ სოფლებში ერთერთი პირველნი მივდნენ ცეკავშირის მუშაკები. ჩვენ ვხედავთ მათ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის, ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობაზე. ეს მათ იკისრეს სურსათითა და ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოამარაგონ მშენებლები. და ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება კიდევ.

სამომხმარებლო კოოპერაცია თანამედროვე პირობებში გვევლინება როგორც მთელი სახალხო-სამეურნეო აგროსამრეწველო კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი რგოლი. ამ კომპლექსის წინაშე კი დგას პასუხსაგები ამოცანა — საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყანა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

დღეს წარმატების საზომი ხდება, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „...**არა მარტო მოწეული მოსავალი არამედ, უწინარეს ყოვლისა ის, რასაც ვაწვდით მომხმარებელს, მაღაზიებს, საკოლმეურნეო ბაზრებს, საბჭოთა ადამიანების სუფრას. ეს ყველა მეცადინეობის საბოლოო შედეგია**“... როლი, რომელსაც პარტია აკუთვნებს სამომხმარებლო კოოპერაციას ამ ამოცანების გადაწყვეტაში, მართლაც რომ, დიდია.

სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი ასპარეზი სოფელია. ჩვენი სოფელი კი წლითიწლობით იცლება. **საწარმოო ძალების ზრდის, თანამედროვე გლეხკაცის სოციალური იერ-ხასის შეცვლის კვალობაზე, — ეს პროცესები კი** რომ იტყვიან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, — **იცვლება სოფლის მცხოვრების ფსიქოლოგიაც,** წარმოიშობა ახალი მოთხოვნილებანი და ახალი საჭიროებანი. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, და მაშასადამე, სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშეც მდგომი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ნიადაგ სწავლოდეს და უფრო სრულად აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, მას შეუძლია და კიდევაც უნდა შეეტანოს უფრო მნიშვნელოვანი წვლილი სოფლად ცხოვრების კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ახლა სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ მუშაობას ეწევა სოფლად სავაჭრო საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. ეს მართლაცდა სასიხარულო ტენდენციაა და ჩვენ ყველანი ვამჩნევთ ამას. მაგრამ ეს სამუშაოები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს ცენტრალური კარ-მიდამოებისა და დაბების განაშენიანების გენერალურ სქემებს, ჩვენი სოფლის გარდაქმნის საერთო გეგმებს.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ შეგუქმნათ პირობები სხვადასხვაგვარ საქონელსა და მომსახურებაზე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულ დაკმაყოფილებას. მატერიალური დოვლათის განაწილების პროცესი ხომ დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, თუ მოსახლეობის ფულადი შემოსავალი არ იქნება რეალიზებული, თუ ადამიანები ვერ შეძლებენ მათთვის საჭირო კონკრეტული საქონლის შეძენას.

სამომხმარებლო კოოპერაციის მნიშვნელობად თანამედროვე ცხოვრებაში ისიც მიგვიჩნია, რომ, ემყარება რა საზოგადოებრივ თვითმმართველობას, იგი მოქმედებს როგორც **ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი, ხელს უწყობს მოსახლეობის ფართო მასების სამეურნეო ინიციატივისა და აქტიურობის ზრდას.** სამომხმარებლო კოოპერაციის ამ თავისებურებას ხაზი გაუსვა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „**კოოპერაციული ასპარეზი მომარაგების ასპარეზია, რომელიც ემყარება... თვითონ მშრომელთა მასობრივ მონაწილეობაზე...**“. და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ლენინის ეს მითითება.

აქ, თბილისში, ამ თათბირ-სემინარზე თქვენ, ჩვენი ძვირფასო სტუმრებო, იმსჯელებთ იმ გამოცდილებაზე, რომელიც საქართველოს სამომხმარებლო კავშირმა შეიძინა ბოლო წლებში კოოპერაციული მრეწველობის განვითარებისა და სასაქონლო რესურსების გადიდების საქმეში.

ცენტრალური კომიტეტიც და რესპუბლიკის მთავრობაც ამ სფეროში ჩვენი კოოპერატორების მუშაობას პრინციპულად დადებითად აფასებენ. განვლილ ხუთწლედში საქართველოს კოოპერატორებმა თითქმის მილიარდი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და ეს პროდუქცია იმის საგრძნობი დანამატი გადა, რაც მისცეს რესპუბლიკას სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებმა. ეს ცხადყოფს, რომ **რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა საქართველოს წარმატებებში,** რომლებიც ზედიზედ რვა წელიწადია აღინიშნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ეკონომიკური და სოციალურ განვითარებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის.

რესპუბლიკის კოოპერატორთა მუშაობას რომ ვაფასებთ, ჩვენ აღვნიშნავთ მათ ოპერატიულობას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა, დიდი წარმოების ნარჩენებისა და იმ ადგილობრივი შესაძლებლობების ფართოდ გამოყენებაში, რომლებიც ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში გვაქვს. სასარგებლოდ მიგვაჩნია სამომხმარებლო კოოპერაციის ინიციატივაც საკუთარი სასუქებელი მეურნეობების, მებოცვრეობის ფერმების, მეფრინველეობის, მეთევზეობის განვითარებაში და ა. შ.

დაწვრილებით არ შევეხები რესპუბლიკის კოოპერატორთა მუშაობის ყველა მიმართულებას. თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ადგილებზე თვითონვე გაეცნოთ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევებს კოოპერაციული წარმოების განვითარებაში. ბუნებრივია, გაჩვენებენ მხოლოდ ყოველივე საუკეთესოს, ჩვეულებრივ ხომ სტუმრებს ცუდს არ უჩვენებენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთიც გვაქვს.

ახლა კი მინდა გამოვთქვა რამდენიმე სურვილი. კოოპერაციულ მეურნეობათა შემდგომი განვითარება უნდა წარიმართოს არა მარტო არსებულ წარმოებათა ინტენსიფიკაციისა და ახალ საწარმოთა შშენებლობის გზით, არამედ **მოსახლეობის პირად საკარმიდამო მეურნეობებთან კოოპერირების, შინ შრომის უფრო ფართოდ გამოყენების გზითაც.** ეს მტკიცდ მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოში, არსებითად, სხვა რესპუბლიკებშიც, ხომ არის ჯერ კიდევ რაიონები, სადაც შრომითის რესურსებს ჯერჯერობით სათანადოდ ვერ იყენებენ. მხედველობაში გვაქვს საზოგადოებრივ წარმოებაში პენსიონერთა, ინვალიდთა, დიასახლისთა ჩაბმა. ღიის ვიფიქროთ ასეთ რაიონებში არა მარტო სახელმწიფოს სამრეწველო საწარმოების ფილიალების — ასეთი ფილიალები ჩვენთან ყველგან იქმნება, — არამედ აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა შექმნაზე. აქაც არის დიდი რეზერვები. ხალხური სარეწების აღორძინება-განვითარებაზეც უფრო სერიოზულად უნდა ვიფიქროთ — ეს საქმე ხელსაყრელიც არის, საჭიროც და ფრიად აქტიურმოძიებითიც.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კოოპერაციულ საწარმოთა პროდუქციის ხარისხსაც. მათი მარკიანი საქონელი მხოლოდ ჩინებული ხარისხისა უნდა იყოს. თვითონ ეს მარკა უნდა იყოს ამის გარანტია, და ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ, თუ ჩვენი კოოპერატორები საქმეს სულითა და გულით მოეკიდნენ, მაშინ მათი პროდუქცია შეძლებს წარმატებით შეეჯიბროს იმას, რაც ნებისმიერ ქვეყანაში გამოდის. ჩვენმა სტუმრებმა კარგი საქონლის ბევრი ნიმუში ჩამოიტანეს. ყველა ისინი წარმოდგენილია გამოფენაზე, რომელიც ინტერესით დავათვალიერეთ. ბევრი მათგანი, მართლაც რომ, მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ბევრი რამის ჩვენება შეუძლიათ ჩვენს კოოპერატორებსაც.

უფრო გაბედულად უნდა ვაფართოვებდეთ პროდუქციის ასორტიმენტის, ვაყალიბებდეთ მას არსებული ნედლეულის შესაძლებლობებისა და ბაზრის მოთხოვნილებების საფუძველზე, ამასთან არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც, საზღვარგარეთის ქვეყნებში. უკვე ახლა საქართველოს კოოპერაციულ მრეწველობას გარკვეული საექსპორტო პოტენციალი აქვს და იგი უნდა გაზარდოთ. ეს ჩემი პირადი აზრია. მაგრამ, ალბათ, ა. ა. სმირნოვიც დაეთანხმება იმას, რომ ქვეყნის კოოპერატორებმა უფრო თამამად უნდა დაამყარონ კონტაქტები საზღვარგარეთის ფირმებთან, საზღვარგარეთის გაერთიანებებთან, მოგვარონ მათთან საქმიანი, ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა.

ხალხში ამბობენ: კარგი გამოცდილება საერთო სიმდიდრეაო. და აი, ახლა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოში ჩამობრძანდით გამოცდილების შესაძენად. კონკრეტულად კოოპერაციული წარმოების განვითარების გამოცდილების შესაძენად. ეს რა თქმა უნდა, ქართველ კოოპერატორთა მუშაობის მაღალი შეფასება და გარკვეული ავანსიც არის. არადა, თქვენც ხომ უზიარებთ მათ ყველაფერს, რაც შეიძინეთ საყურადღებო, მოწონავთ თქვენს რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. **უდავოა: ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია ასე დინამიკურად და ყოველმხრივ ვერ განვითარდებოდა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეძენილ გამოცდილებას რომ არ ეყრდნობოდეს.** ამიტომ ყოველმხრივ მხარდასაჭერია დღევანდელი ჩვენი შეხვედრის ინიციატივა, — რომელიც გამოჩინეს ცენტროსოიუზმა, პირადად ალექსი ალექსის ძე სმირნოვმა.

აი ცენტროსოიუზის ხაზით და მოცდილების ურთიერთგამდიდრების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. შარშან ცენტროსოიუზმა გამართა სამომხმარებლო კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეების სემინარი როსტოვის ოლქის მოწინავე ორგანიზაციათა ბაზაზე. ეს სემინარი საქართველოს კოოპერატორებისათვის კოოპერაციული მეურნეობის განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომის თვალსაჩინო გაკვეთილი გახდა, უჩვენა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების გზები. წელს ჩვენმა სპეციალისტებმა შეისწავლეს საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში ვორონეჟის საოლქო სამომხმარებლო კავშირის, დარგისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში კრასნოდარის სამხარეო სამომხმარებლო კავშირის გამოცდილება და ყოველთვის, როცა ასეთი მოგზაურობიდან ჩამოვლენ ხოლმე, ამხანაგები ანგარიშს აბარებენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმის შესახებ, თუ რა ისწავლეს მათ ჩვენი მეგობრებისაგან, რა საყურადღებო და სასარგებლო გადაიღეს მათგან და რის დანერგვას აპირებენ.

ბევრ რამეს სწავლობენ ჩვენი სპეციალისტები რუსეთის კოოპერატორებისაგან. გულუხვად უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას საქართველოს კოოპერატორებს უკრაინელი და ბელორუსი კოლეგები. ბევრი რამ, რასაც თქვენ ჩვენს „რაიონებში ნახავთ, აზერბაიჯანისა და სომხეთის, საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ყაზახეთისა და მოლდავეთის, ჩვენი შუა აზიის რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის მშრომელთა გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენების შედეგია. უკანასკნელი წლების მანძილზე მეც მომიწია დავსწრებოდი ბევრ რესპუბლიკაში — უკრაინასა და ბელორუსიაში, უზბეკეთსა და ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გამართულ ზეიმს. და ყველგან ვნახე ბევრი რამ საინტერესო, ყურადსაღები, და ურიგო არ იქნება, საქართველოს კოოპერატორებმაც გადმოიღონ ყოველივე ის.

არადა, მართლაც, ამხანაგებო, ხომ ეს არის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ძალა: **ერთი რესპუბლიკის მიღწევები მაშინვე ხდება საერთო, საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი კუთვნილება.**

ჩვენთან გამოცდილებისათვის ჩამობრძანდით. მაგრამ, ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ახლანდელი თქვენი საქმიანი შეხვედრა უკვალოდ არ ჩაივლის საქართველოს კოოპერატორებისთვისაც. მათ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. გვაქვს ამ დარგში ჩამორჩენა ზოგიერთი საშუალო საკავშირო მაჩვენებლისაგან, ვთქვათ, საქონელბრუნვის ზრდაში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. არის პრობლემები სასაქონლო რესურსების მანევრირებაში, ზენორმატიული საქონლის მარაგის შემცირებაში, არსებულ სიმძლავრეთა გამოყენებაში. მართლაც, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. და ჩვენ იმედი გვაქვს, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ თქვენი დახმარებით, თქვენი უმდიდრესი გამოცდილების გამოყენებით, საქართველოს კოოპერატორები წარმატებით გადაწყვეტენ ყველა ამ ამოცანას, ყველა ამ საკითხს.

დასასრულ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, დიდად პატივცემულო ალექსი ალექსის ძეო, ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ახლანდელი სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების გზაზე, სკკპ XXVI ყრილობის, ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტის გზაზე!

იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის, კოოპერაციული მრეწველობა სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, ითქვა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. ნ. შავიშვილის მოხსენებაში.

მომხსენებელი საგანგებოდ შეეხო ისეთ პრობლემებს, როგორიცაა კვებისა და საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, მათი კონცენტრაცია, ცენტრალიზაცია და გამსხვილება, წარმოების განვითარების ადგილობრივ შესაძლებლობათა ძიებისა და ეფექტიანი გამოყენების საკითხებს.

თათბირ-სემინარის მუშაობის პირველ დღეს მისმა მონაწილეებმა დაიწყეს ქართველი კოლეგების პრაქტიკული საქმიანობის გაცნობა კოოპერატორთა ფორუმს, რომელიც სამ დღეს გასტანს, ვრცელი პროგრამა აქვს.

ცენტროსოიუზისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მუშაკები ეწვევიან მარნეულის სასურსათო კომბინატს, სადაც კომპლექსურად გამოიყენება ნედლეული რესურსები, ვითარდება უნარჩენო წარმოება, უნარიანად ინერგება მექანიზაციის საშუალებანი, მცირდება ხელის შრომა. დიდად საინტერესოა საგურამოს სასათბურე მეურნეობის დახურულ გრუნტში ბოსტნეულის მოყვანის გამოცდილება, თელეთის კოოპერაციული დამხმარე მეურნეობის მეღორეობის კომპლექსის ეფექტიანი მუშაობა. მცხეთის სასურსათო კომბინატის მუშაკები კოლეგებს უამბობენ დაფასობის პროცესების მექანიზაციის, საკონდიტრო ნაწარმის გამოშვებისას პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის თანამედროვე მეთოდების დანერგვის შესახებ.

ფართო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოებას თათბირ-სემინარის მონაწილენი გაეცნობიან საწარმოო კომბინატებში და თბილისის, ვაზიანისა და ქსნის უბნებში.

(საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 24 ივლისის გრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს სსრ მოქალაქეთ მიღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა; საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის თანამოხსენება*

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმში და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებად ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმმა მოიწონა, ხოლო სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და სსრ კავშირის ეროვნული ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმები და სახელმწიფო ბიუჯეტი. მათში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ აღნიშნულ პლენუმზე ჩამოყალიბებული დებულებებისა და ორიენტაციების შესაბამისად დასახულია ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების დასაბუთებული პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პუნქტებზე პრინციპული შეფასებიანი მეათე ხუთწლედსა და ოთხეულ ეროვნულ ეკონომიკურ და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისათვის გაწეულ მუშაობას, დაისახა საქართველოს სსრ ეროვნული მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები. მეათე ხუთწლედში უმნიშვნელოვანესი ძვრები მოხდა საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა საქართველოს ზოგადეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალი, გაიზარდა მისი წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში.

ხუთწლედის მთავარი შედეგი იყო, რომ მნიშვნელოვნად შეიარაღა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური განვითარების დონეთა შორის არსებული განსხვავება. ხუთწლედის მანძილზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 43,5 პროცენტით გადიდდა, მრეწველობის პროდუქცია 41 პროცენტით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა — 34 პროცენტით.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდა უმთავრესად მიღწეულია ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. 1976-1980 წლებში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 39,1 პროცენტით გადიდდა. მის ხარჯზე მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 85 პროცენტზე მეტი. სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგება 6,9 პროცენტით გაიზარდა.

ყოველივე ამან მატერიალური წანამძღვრები შექმნა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 28,4 პროცენტით გადიდდა, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი — 21,8 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 1,6-ჯერ.

მეათე ხუთწლედსა და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მიღწეულმა წარმატებებმა საშუალება მოგვცა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1982 წლისათვის დაგვესახა რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი შინაარსი ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გზით.

მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს რესპუბლიკაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 29,5 პროცენტით გაიზრდება, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 33,8 პროცენტით. საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების გადიდებაში არსებითს წვლილს შეიტანს მრეწველობა, რომლის სასაქონლო პროდუქცია 1981-1985 წლებში 31 პროცენტით გაიზრდება.

კიდევ უფრო განვითარდება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი, რაც მატერიალურ საფუძველს შეუქმნის საქართველოს სასურსათო პროგრამის წარმატებულ განხორციელებას. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება 22 პროცენტით გაიზრდება. დიდ მასშტაბებს მიაღწევს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პროფილის განმსაზღვრელი ისეთი დარგების განვითარება, როგორიც არის მევენახეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა. მნიშვნელოვნად გადიდდება მარცვლეულის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მოცულობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში განხორციელდება კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 8,1 მილიარდი მანეთის ოდენობით არის გათვალისწინებული; ამ სახსრების საგრძნობი ნაწილი მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას და ტექნიკურ განახლებას მოხმარდება. სახსრებს უპირატესად ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების, აგრეთვე სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებული დარგების განვითარებისათვის გამოიყენებთ.

ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დასახული პროგრამის განხორციელება გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით.

მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. მოხმარებისა და არასაწარმოო დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის რესურსების ოდენობა 32,6 პროცენტით გადიდდება. რეალური შემოსავალი რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ხუთწლედში 23,1 პროცენტით გაიზრდება, რაც უზრუნველყოფილი იქნება მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის 13,4 პროცენტით ზრდის და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების 18,1 პროცენტით გადიდების შედეგად. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ოდენობა 28,4 პროცენტით მომატებას. 1985 წელს საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 5,8 მილიარდ მანეთს მიაღწევს და 32,7 პროცენტით გადააჭარბებს 1980 წლის დონეს. ერთ-ნახევარჯერ გაიზრდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა. ხუთწლედის მანძილზე საეკსპლოატაციოდ გადაეცემა 7,6 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის მეშვეობითაც საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესდება 448,5 ათას კაცს.

დასახულია განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა დარგების შემდგომი განვითარება.

1981-1985 წლებისათვის გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი 1982 წელს განხორციელდება.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი მომავალ წელს შეადგენს 105 პროცენტს, წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 105,6 პროცენტს... განუხრელად განხორციელდება წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი გაძლიერების კურსი. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზრდება. მის ხარჯზე მიღებული იქნება ეროვნული შემოსავლის წლიური მატების 86 პროცენტი. მატერიალური დანახარჯების მოცულობა საზოგადოებრივი პროდუქტის ერთ მანეთზე 56,3 კაპიკამდე 55,7 კაპიკამდე ანუ 1,1 პროცენტით შემცირდება.

ყოველივე ეს კი მატერიალურ წანამძღვრებს შეუქმნის რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის ოდენობა 151,7 მანეთს მიაღწევს 1981 წელს მოსალოდნელი 148,3 მანეთის ნაცვლად, კოლმეურნეთა შრომის თვიური ანაზღაურება კი 111 მანეთიდან 113 მანეთამდე გაიზრდება.

სესიის განსახილველად წარმოდგენილ რესპუბლიკის 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საფუძვლად უდევს საქართველოს ეკონომიკურს და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი. ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ძირითადი ნაწილი მოხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 2.411.363 ათასი მანეთის ოდენობით.

1982 წელს სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომ განვითარებას მოხმარდება 1.036.593 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას — 1.263.812 ათასი მანეთი.

საბიუჯეტო სახსრების ყოველი მეორე მანეთი მოხმარდება სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ქსელის შემდგომ გაფართოებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომ აყვავებას.

საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებში შემოვიდა სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ბრავალი წინადადება. ყველა მათგანი გულდასმით შეისწავლეს სათანადო კომისიებმა. ეს წინადადებები, სესიის მიერ მიღებულ სხვა შენიშვნებთან ერთად, დამატებითი შესწავლისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის გადაეცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ სხვა მუდმივ კომისიებთან ერთად გააანალიზა 1982 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი და შესაძლებლად მიაჩნია რესპუბლიკის 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიდიდეს 2.910 ათასი მანეთით და ამ სახსრებიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტდარბაზების და მოედნების აღჭურვას, ამ სკოლებისათვის სპორტული და სხვა ინვენტარის შეძენას, აგრეთვე აღნიშნული ობიექტების კაპიტალურ რემონტს მოხმარდეს 880 ათასი მანეთი, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლე ობოლ ბავშვთა კვების გაძლიერებას — 80 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ინვენტარ-მოწყობილობის შეძენასა და ამ დაწესებულებათა კაპიტალურ რემონტს — 890 ათასი მანეთი, სამამულო ომის ინვალიდებთა ვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების შეძენას — 86 ათასი მანეთი, ინვალიდებისათვის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას — 20 ათასი მანეთი, ქალაქების, დაბების კეთილმოწყობას — 954 ათასი მანეთი.

აღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებს წინადადება შემოაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა დამტკიცდეს 2.414.273 ათასი მანეთის ოდენობით.

სხვა მუდმივმა კომისიებმა განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და შემოაქვთ წინადადება დამტკიცდეს ეს ანგარიში შემოსავლის ნაწილში 2.527.988 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 2.447.617 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლზე შემოსავლის 80.371 ათასი მანეთის გადამეტებით.

გააანალიზა რა 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა, მუდმივმა კომისიებმა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაობის დადებითს შედეგებთან ერთად აღნიშნეს, რომ მთელ რიგი გაერთიანებები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები არასრული დატვირთვით იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, არ იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის.

მუდმივმა კომისიებმა სესიას წარმოუდგინეს დასკვნები 1982 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ და მათი დავალებით შემოაქვს წინადადება, რომ მთლიანად მოვიწონოთ და დავამტკიცოთ ისინი. (ტაში).

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების განვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონების პროექტების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ჯ. ი. ჰაფიაშვილის მოხსენება*

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დღიურიგობს ღირსშესანიშნავ ფენომენებში, როცა საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხს შემოქმედებითს შემოქმედებას და მათი ბედნიერი ცხოვრების საიმედო გარანტიაა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში განსაკუთრებით იზრდება საბჭოთა კანონმდებლობის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ზოგადობრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და პიროვნების უფლებების უზრუნველყოფის საქმეში.

კანონიერებისა და მართლწესრიგის საფუძველი, უპირველესობაც წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი და სოციალისტური დემოკრატია, ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, — ეს არის ადამიანების კარგად მოფიქრებული სისტემა პლუს მათი გადაწყვეტილი შესრულება.

სწორედ ამიტომ პარტიის XXVI ყრილობამ სოციალისტური საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება ორგანულად დაუკავშირა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას და ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს. საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არა მარტო მოქმედი კანონების განუხრელად დაცვას, არამედ აგრეთვე სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუჯობესებას, საზოგადოების გაზრდას და მართლწესრიგის დაცვის საქმეში მისი ფილის ამაღლებას.

დღევანდელ სესიაზე თქვენს განსახილველად შემოგაქვს პროექტები კანონებისა „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“. წარმოდგენილი პროექტები ასახავს ჩვენი სახელმწიფო წყობილების იმ ძირითად ცვლილებებს, რომელიც დაკავშირებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივ-სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღებასთან.

ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო აქტები მიღებულია 20 წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა საზოგადოებამ განვითარებისა და თავისი განვითარების დიდი გზა. ზოგიერთ ნორმა მოძველდა, დიდი უმეტესობა საჭიროებს განახლებას და დამატებას. ამიტომ საჭიროდ გახდა, რომ ისინი შევუსაბამოთ საკავშირო კანონებს, და ასევე კონსტიტუციას.

განსახილველი კანონების პროექტები მომზადებულია დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და მეცნიერების უშუალო მონაწილეობით და მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიამ.

ნება მომეცით გადავიდე ცალკეული კანონპროექტების დახასიათებაზე.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ წარმოდგენილი კანონის პროექტი შედგება 4 კარისა და 79 მუხლისაგან. მასში სრულად აისახა ჩვენი სასამართლო სისტემის დემოკრატიული პრინციპები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ვ. ი. ლენინმა.

კანონში განმტკიცებული და განვითარებულია სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ისეთი დემოკრატიული საწყისები, როგორიც არის მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, სასამართლოების არჩევითობა, ყველა სასამართლო საქმეთა განხილვაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა, მართლმსაჯულების განხორციელებისას სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება და სხვ.

კანონი იცავს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

პროექტში ხაზგასმულია, რომ სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით სსრ კავშირის მოქალაქეებს ზრდის საშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დებულებას, რომ მართლმსაჯულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ღია სასამართლო სხდომაზე, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და ინტერესების დაცვით, კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე. კანონპროექტში შემდგომი განვითარება პოვა ძირითადმა დემოკრატიულმა პრინციპმა, რაც ბრალდებულს აძლევს დაცვის უფლებას.

პროექტში რეგლამენტირებულია იუსტიციის ორგანოების საქმიანობა სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის დარგში. იუსტიციის სამინისტრო მოწოდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სასამართლოს ამოცანების განხორციელებას, ამავე დროს მკაცრად დაიცვას სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპები და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება.

კანონში დაზუსტებულია საკითხები, რომლებიც შეეხება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ორგანიზაციულ საქმიანობას, მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს უფლებამოსილება და მითითებულია აგრეთვე, რომ ისინი ზედამხედველობას უწევენ სახალხო სასამართლოთა საქმიანობას.

პროექტში დაწვრილებით არის მოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილებანი, მისი შემქმნელი წესი, შემადგენლობა და სხვა საკითხები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო, სახელმძღვანელო მითითებებს აძლევს სასამართლოებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს. კანონში მითითებულია, რომ სახალხო მსაჯულები ანგარიშვალდებული არიან ამომრჩეველთა და იმ ორგანოების წინაშე, რომლებმაც ისინი აირჩიეს. პროექტში არის ახალი მუხლი სახალხო მსაჯულთა საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეული იქნენ, თუ მათ არ გააამართლეს ამომრჩეველთა ან მათი ამრჩევი ორგანოს ნდობა, ან ჩაიდინეს მოსამართლისა თუ სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება.

საქართველოს სსრ რაიონულ (საქალაქო) სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესს განსაზღვრავს განსახილველად წარმოდგენილი კანონის ახალი პროექტი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“.

პროექტში განსაზღვრულია, რომ მოსამართლენი, აგრეთვე სახალხო მსაჯულნი სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს არ შეიძლება მიეცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებული ან დასჯილნი სასამართლო წესით ადმინისტრაციული სასჯელ ი თ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

სასამართლოს მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის, მათი მუშაობის ორგანიზაციისათვის და სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის პროექტს „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“. სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად პროექტით განმტკიცებულია მოსამართლეთა და მსაჯულთა არჩევნების წესი დემოკრატიულ საწყისებზე.

პროექტში შეტანილია მთელი რიგი ახალი დებულებანი, რომლებიც აწესრიგებენ როგორც სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადების, ისე მისი მოწყობის ორგანიზაციას. სასამართლოების და მსაჯულების არჩევნების დადგენილი წესი უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას სასამართლო ორგანოების ფორმირებაში.

პროექტით გათვალისწინებულია, რომ სახალხო მოსამართლენი, აგრეთვე სახალხო მსაჯულნი სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს ან პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეების — სამხედრო ნაწილებში, ღია კენჭის ყრით ორ წლინახევრის ვადით. სახალხო მოსამართლეების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით, ყოველი საარჩევნო ოლქიდან აირჩევა ერთი სახალხო მოსამართლე.

არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ტარდება ერთი დღის განმავლობაში. ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოქვეყნდება პრესაში არა უგვიანეს ორი თვისა მოსამართლეთა რწმუნების ვადის გასვლამდე.

კანონპროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე საარჩევნო უბნების შექმნა, გაფართოებულია იმ ობიექტების წრე, სადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს საარჩევნო უბნები.

პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების დასახელების საკითხს. ყველა კანდიდატს მისი რეგისტრაციის მომენტიდან აქვს თანაბარი უფლება მიიღოს მონაწილეობა წინასაარჩევნო კრებებში, გამოვიდეს რადიოთი და ტელევიზიით.

დადგენილია აგრეთვე ახლად შექმნილ ქალაქებში ან რაიონებში მოსამართლეთა არჩევნების, აგრეთვე დამატებითი არჩევნების მოწყობის წესი, რაც ადრე არ იყო განსაზღვრული აღნიშნული კანონით.

მესამე კანონპროექტი, რომელიც შემოტანილია თქვენს განსახილველად, ეხება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის“. მასში დაზუსტებულია სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესი და პირობები. ხაზი აქვს გასმული იმ დებულებას, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ამომრჩეველთა წინაშე, რომელთაც აქვთ უფლება ვადამდე გაიწვიონ ისინი, თუ ვერ გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობას.

გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით, რაც გაწვევის დადგენილი წესის დემოკრატიული ხასიათის დადასტურებაა.

ახალი კანონების მიღება საკითხის ერთი მხარეა. მთავარი დღეს ჩვენთვის მათი განუხრელი შესრულებაა, რომლის დროსაც ყველაზე კარგად ჩანს ახალი საკანონმდებლო აქტების იურიდიული და სოციალური ეფექტიანობა.

მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა წინადადებებს, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის შესწავლას და კანონმდებლობის ენაზე გადმოტანას. „ყოველგვარი წინადადებები მშრომელებისა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — მიმართული მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისაკენ, მხარდაჭერას და უაღრესად კეთილსასურველ დამოკიდებულებას ჰპოვებს ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 464).

სწორედ მშრომელთა მოთხოვნა დაედო საფუძვლად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში ცვლილებათა შეტანას, რომლებიც შეეხება პასუხისმგებლობის გაძლიერებას ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, ავტომანქანების გატაცების, მუქთათხორობისათვის და გაგრძელდეს მიზნით მოქალაქეთა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის.

სიახლეები ამ მხრივ ბევრია. თუ, მაგალითად, ადრე ქურდობა ისჯებოდა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ახალი ბრძანებულებით სასჯელი აღნიშნული დანაშაულისათვის 4-დან 10 წლამდე გაიზარდა.

გამკაცრდა აგრეთვე კანონი ავტომოტორანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის. თუ ახალ ბრძანებულებამდე აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ისჯებოდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ამჟამად სასჯელი 5 წლამდე გაიზარდა. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლს დაემატა ახალი მესამე ნაწილი, რომლითაც ტრანსპორტის გატაცება დაკავშირებული დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობასთან ან სხვი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 8 წლამდე.

და, ბოლოს, თუ ადრე პიროვნების თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა ისჯებოდა 3 წლამდე პატიმრობით, ახალი ბრძანებულებით სასჯელი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის 10 წლამდეა გაზრდილი.

მიზანი, რომელსაც ეს საკანონმდებლო სიახლეები ისახავს, ძალზე კეთილშობილურია. იგი ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების შრომისა და დასვენების სასიკეთო პირობების შექმნას. სწორედ ამიტომ მოიწონა ეს საკანონმდებლო აქტები ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

როგორც საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, საბჭოთა ადამიანების უდიდესი უმრავლესობა შეგნებულად და ზუსტად იცავს ამ კანონებს.

ამ ცვლილებათა თაობაზე ბრძანებულებათა მიღებიდან განვლილმა პერიოდმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რაშედენად დროული და გამართლებული იყო აღნიშნული აქტების მიღება.

შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების დაძაბული მუშაობის შედეგად რესპუბლიკის ბევრ რთულ რეგიონში მდგომარეობა სწორდება.

მიუხედავად ამისა მოქალაქეთა პირადი საკუთრების ხელშეყოფი დანაშაულების აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ ახალი ბრძანებულების ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უშლის ამ დანაშაულობათა გახსნის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, მაგალითად, მიმდინარე წელს გაუხსნელი დარჩა ქურდობის ათობით შემთხვევა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქალაქებში თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, აგრეთვე მახარაძის, მარნეულის, ზესტაფონის, ცხაკაიას, წულუკიძისა და ახალციხის ტერიტორიებში. ცალკეულ რეგიონებში აღნიშნული სამართალდარღვევების ზრდა იმითაც არის განპირობებული, რომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ დანაშაულობათა მიჩქმალვის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლას. გაძლიერდა კონტროლი ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლოებში დროული და ხარისხიანი განხილვისადმი. ქურდები და მშრომელი კაცის ქონების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულები სულ უფრო და უფრო გრძნობენ კანონის ძალას.

რესპუბლიკაში ერთხანს ფართოდ გავრცელდა ისეთი დანაშაული, როგორიცაა ავტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება როგორც დროებითი გამოყენების, ისე გამოძალვის მიზნით. აქ მთავარი მიზეზი იყო აღნიშნული დანაშაულის საშიშროების შეუფასებლობა. დანაშაულის აღრიცხვის საქმეში იჩენდნენ უპასუხისმგებლობასაც. ამის შედეგი იყო დანაშაულთა მიჩქმალვის ხშირი ფაქტები, რაც ბოროტმოქმედებს უბიძგებდა ახალი დანაშაულების ჩასადენად.

ბრძანებულების მიღების შემდეგ გაძლიერდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მომთხოვნელობა და კონტროლი მილიციის მუშაკების სტაქმანობისადმი, კიდევ უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდა საპროკურორო ზედამხედველობაც.

როგორც ახალი ბრძანებულების გამოყენების პრაქტიკა ცხადყოფს, ეს დანაშაული ძირითადად ფეხმოკიდებულია ქალაქებში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბევრი ავტომანქანის გამტაცებელი არსად არ მუშაობდა, რაც მილიციის ორგანოების ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი. შესამჩნევია ამ დანაშაულის ჩადენაში ახალგაზრდობის ხვედრითი წილი, რაც შესაბამისი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების სუსტი პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია.

ამიტომ ახალი ბრძანებულების საფუძვლიანად შესწავლას და სწორ გამოყენებას ორგანული კავშირი აქვს პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტასთან, რაზეც სერიოზული მუშაობა მართებთ უწინარესად სახალხო დეპუტატთა საბჭოებს.

გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღევანდელი სესიის ყველა აქ მყოფი დეპუტატი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განუხრელად განმტკიცების საქმეში. (ტ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ თ. ვ. ლაფაჩარაფვილის მოხსენება

კატეგორიულ ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ადმინისტრაციულებს რა თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდგომ პერიოდში გამოსცა მთელი რიგი ბრძანებულებები, რომლებიც რესპუბლიკის ძირითადი კანონის 116-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილია თქვენს განსახილველად.

1981 წლის 24 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ.

ბრძანებულება ითვალისწინებს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა უფლება-ალმები და ვიმპელები.

საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 3 სექტემბერს გამოსცა ბრძანებულება საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ. ბრძანებულებით რეგლამენტირებულია ძირითადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ შუამდგომლობათა შეტანისა და გადაწყვეტის წესს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის საკავშირო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და, კერძოდ, დაგვიანებით შეტანილი გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელების გადახდევინების შესახებ დებულებასთან და საალსრულებო საბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობის დაზუსტებასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 25 და 30 სექტემბრის ბრძანებულებებით საჭირო ცვლილებები და დამატებები შეიტანა ამ კოდექსში.

1981 წლის 3 აგვისტოს გამოცემულია ბრძანებულება საკოლმეურნეო ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია ერთჯერადი გამოსაღების ოდენობა, იმ პირთა და ორგანიზაციათა წრე, რომელთაც გადახდებათ ერთჯერადი გამოსაღები, და მისი გადახდევინების წესი. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ ერთჯერადი გამოსაღებით მიღებული სახსრები მთლიანად მოხმარდება საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობას, გაფართოებას, კეთილმოწყობასა და ექსპლოატაციას.

რესპუბლიკის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და ზოგიერთი სახეობის საზოგადოებრივად სამიშ ქმედობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა შემდეგი ბრძანებულებები:

1981 წლის 6 ოქტომბრისა, რომლითაც სათანადო დახუტებები და ცვლილებებია შეტანილი საქართველოს სსრ სისტლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების იმ მუხლებში, რომლებიც ეხება საკასაციო და სახედამხედველო ინსტანციებში სამოქალაქო და სისტლის სამართლის საქმეების განხილვის ვადებს,

და 1981 წლის 11 ნოემბრისა — საქართველოს სსრ სისტლის სამართლისა და სისტლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

განვლილ პერიოდში გამოცემულია მთელი რიგი ბრძანებულებანი სახელმწიფო მშენებლობის საკითხებზე, რომლებიც აგრეთვე წარმოდგენილია თქვენს განსახილველად.

ზოგიერთი საკავშირო სახელმწიფო ორგანოს გარდაქმნასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებათა საფუძველზე გამოცემულია შემდეგი ბრძანებულებები:

1981 წლის 17 ივლისისა — „საქართველოს სსრ გაზოფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ გაზოფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 31 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლოატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (საქმთავარბაგირგზა) საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპეცტრანსი) გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 23 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 5 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამ ბრძანებულებათა დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ „კანონის შესაბამის მუხლებში, რომლებიც მოცემულია საკავშირო-რესპუბლიკური, საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტების, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოების ნუსხებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენებით გამოცემულია აგრეთვე ბრძანებულებები რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნის შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე კანონებისა და დადგენილებების პროექტები ხელთა გაქვთ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დამტკიცოთ ისინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

ფეხბურთის ამბები

სსრ კავშირის ნაკრებმა ერთეთის ქალაქ კადიქსში გამართა ამხანაგური მატჩი საკუთარ გუნდ „კადიქსთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

ევროპის საფეხბურთო ორგანიზაციების კავშირის (უეფა) ორგანიზაციო კომიტეტმა დაუშვირა საფრანგეთის კანონტურის იმის თაობაზე, რომ მიეცეს 1984 წლის ევროპის პიონატის ორგანიზატორის ლებები. ეს ფიფიალურად მოაცხადა უეფამ. ყველარი გადაწყვეტება უეფას კომის სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის ადგილების სუფვილი გამოთქვეს რმანის ფედერაციულმა ბუბლიკამ, ინგლისმა და სპანეთმა. ცნობილია ისიც, რომ როის ჩემპიონატში მონაწილობის განაცხადი გააკეთა ქვეყანამ. წილისყრა გაიმართა საფრანგეთში 1982 წლის ერის დამდეგს.

მოსკოვის „ტორპედომ“ დევ ორი ამხანაგური შეხვედა გამართა მიროკოში, კასაბლანკაში დამარცხდა ადგილობრივ „ვ. ა. კ.“-თან (0:1), ხოლო ტატში ტორპედოელებმა ამ ლაქის ნაკრებს მოუგეს (ოდესის „ჩერნომორეცმა“ მატჩი ითამაშა მავრიკიის საბ ბო გუნდებთან და ერთიც ამ ყნის ნაკრებთან. ოდესელებმა შეხვედრები შესაბამისად ანგარიშით მოიგეს: 3:0, 5:1 და 10:0. მინსკის „დინამო“ ში შეხვდა იორდანიის ნაკ და გაიმარჯვა — 3:0.

მთავარ პრიზს დაეუფ

თბილისელმა მოჭადრაკ საერთაშორისო დიდოს ტ **ნინო გურევიჩმა** დასავლეთ რმანიის ქალაქ ბად-კისინგენ ისპარეზა და პირველი ადგ დაიკავა. მან 10 შეხვედრიდ პარტია მოიგო და 7 ყაიმით ამთავრა. 6,5 ქულა საკმარისი მოჩნდა იმისათვის, რომ მთავ პრიზი დაესაკუთრებინა.

სატურნირო ორბიტა

სპორტული ტანვარჯიში. სკოვში მიმდინარე ოცდამეერ მსოფლიო ჩემპიონატზე ქალ მაც დაამთავრეს გუნდური ბრება. სსრ კავშირის ქალ ნაკრებმაც, ისევე როგორც ფებმა, პირველობა არავის დ მო და ოქროს მედლებს დაუ ლა (გუნდის შემადგენლ ელენე დავიდოვა, სტელა ზ როვა, მარიამ ფილატოვა, ნატ ილიენკო, ელენე პოლევაია ოლგა ბიჩეროვა) — 389,30 ლა. ვერცხლის მედლები წ ხვდათ ჩინელებს (384,60), ბ ჯოსი — გერმანიის დემოკრ ული რესპუბლიკის სპორტ ნებს (382,10 ქულა). პირად ვლაში დაწინაურდნენ სპ სპორტსმენები: ე. დავიდ (78,25 ქულა), ო. ბიჩეროვა (7 და მ. ფილატოვა (77,45).

ფრენბურთი. იაპონიაში დინარე ვაკთა გუნდებს შო მსოფლიო თასის გათამაშებ საბჭოთა ნაკრებმა ზედიზედ დევ ორი გამარჯვება მოპ ამჯერად ჩვენმა სპორტსმენ დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ლონელებს (3:2) და კუბელ (3:0). საბჭოთა ფრენბურთელ ბმა უკვე ხუთი მატჩი გამა და ხუთივე მოიგეს.

ხელბურთი. რუმინეთის ქ ტირგუ-მურეშში დაიწყო ფ გუნდების ტრადიციული საკ შორისო შეჯიბრება „კარპ თასზე“. ასპარეზობის პირ დღეს საბჭოთა ნაკრებმა დაა ცხა რუმინეთის მეორე გ — 27:20. სხვა მატჩები ასე თავრდა: რუმინეთი (1)-საფ გეთი — 30:19, პოლონეთი-ტ ნეთი — 24:23.

კალათბურთი. კუბინშეკა რიგაში გრძელდება უმაღ ლოგის ვაკთა გუნდების საკ რო ჩემპიონატის მეორე (მატჩები. ასპარეზობის მ დღეს თბილისის „დინამო“ (და კიევის არმიელთა გუნდ გაიმარჯვა — 104:95.

ფაში. ჰოლანდიაში გრძელ ბა მატჩი მსოფლიო პირველ ზე ‘ი. განტვარგსა (სსრ კავ და ხ. ვირსმას (ჰოლანდია) რის. მეთექვსმეტე პარტიაში ტოქეები დაზავდნენ, მეჩვი ტე პარტია კი მოიგო ვ და ახლა ანგარიშია 9,5:7,5 ე მას სასარგებლოდ. მატჩის თავრებამდე კიდევ 3 პარტია თამაშო.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილ

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის დროს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მდგომარეობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. დ. მაჩხარაშვილის ინფორმაცია

ამხანაგო დეპუტატებო! შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შედეგად, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა განახორციელეს ბოლო წლებში, თითქმის სამჯერ შემცირდა კანონიერების დარღვევა მუშათა და მოსამსახურეთა დათხოვნისას. ამასთან ერთად სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, შემოწმებათა მასალები, მოქალაქეთა შრომის საკითხებთან დაკავშირებული სარჩივრებისა და განცხადებების შესწავლა ცხადყოფს, რომ მუშათა და მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნების შემთხვევები ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია.

1980 წელს, მაგალითად, შრომის საკითხებთან დაკავშირებით განიხილეს 641 საქმე და აქედან დაკმაყოფილეს 373, ესე იგი წარმოდგენილ სარჩელთა მხოლოდ 58,2 პროცენტი. წარშან 9 თვეში განხილული იყო 463 საქმე და დაკმაყოფილებულია 254, რაც პროცენტულ გამოხატულებაში 54,8 შეადგენს. თუ წლევანდელი 9 თვის მაჩვენებლებს წარშანდელ შესაბამის პერიოდს შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: განხილულია 411 საქმე და დაკმაყოფილებულია 254, ანუ სარჩელთა 61,8 პროცენტი (იქვე დავძენთ, რომ საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 50,3 პროცენტს ეტოლება). ყველაზე სამწუხაროო მაინც ის გახლავთ, რომ უკანონოდ დათხოვნილთა საერთო რიცხვიდან 60-65 პროცენტს მუშები შეადგენენ.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევებით ბევრი ორგანიზაცია სცოდავს, მათ შორის არიან რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, „საქართველოს ჩაის“ გაერთიანების საწარმოები, აგრეთვე, საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი გაერთიანებები და საწარმოები.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: რატომ ირღვევა შრომის კანონმდებლობა, რატომ ვითხოვთ ადამიანებს სამუშაოდან და მერე იძულებული ვხდებით კვლავ აღვადგინოთ ისინი თავიანთ ადგილებზე? საქმის ასეთი ვითარება გამოწვეულია მთელ რიგ მეურნეობათა ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობით და, მე ვიტყოდი, ზოგ შემთხვევაში მათ მიერ კანონმდებლობისადმი უპატივცემლობით. შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად ისინი დისციპლინურ სასჯელს მიმართავენ და უკანონოდ ითხოვენ ადამიანებს სამუშაოდან. ხელმძღვანელმა მუშაკმა კარგად უნდა იცოდეს შრომის კანონმდებლობა და განუხრელად იცავდეს მას.

წინანდებურად შრომის კანონმდებლობის დარღვევის ყველაზე გავრცელებულ ფორმად რჩება ადმინისტრაციის მიერ მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან შეუთანხმებლად. სასამართლოები, როგორც წესი, უკანონოდ დათხოვნილებს აღადგენენ თავიანთ ადგილებზე. აღდგენილი მუშის ან მოსამსახურის თვალში კი ხელმძღვანელი უსუსურად და ავტორიტეტშელახულად გამოიყურება.

მე მგონი, არ არის იმის მტკიცება საჭირო, თუ როგორი აუარადღებით არიან გარემოსილი ჩვენს ქვეყანაში ქალები. ყველასათვის ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში უპირატესად ქალები არიან დასაქმებული და „შესანიშნავ შრომითს მაგალითებს იძლევიან. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ მათი შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული აურადღება ექცევათ დედებს, რომლებისთვისაც უამრავი შეღავათია დაწესებული. დიდ უხერხულობაში იგდებს თავს ის ხელმძღვანელი, რომელიც საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან ითხოვს ორსულ ქალს, ანდა ერთი წლის ასაკამდე ჩვილი ბავშვის დედას, როგორც ეს მოხდა საქართველოს სსრ გაზოფიკაციის სახელმწიფო კომიტეტში.

არის კიდევ შრომის კანონმდებლობის დარღვევის მეტად არასასიამოვნო ფაქტები. საქმე ეხება ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან არასრულწლოვანთა დათხოვნას. 18 წლის ასაკამდე მუშებისა და მოსამსახურეების განთავისუფლება დაუშვებელია სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თანხმობის გარეშე. ეს გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის კოდექსის 177-ე მუხლით.

ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ მოზარდებისადმი, ჩვენი მომავლისადმი განსაკუთრებული აურადღება და გულისამირება გამოვიჩინოთ. მათდამი გულგრილობა დანაშაულია.

მუშა-მოსამსახურეების სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით სხვა, ყოველად მიუღებელი პრაქტიკაც დამკვიდრდა. ლაპარაკია ბრძანებების შედგენისას გამართული შინაარსისა და ფორმის აუცილებლობაზე. ერთი სიტყვით ბრძანების წიგნიერად შედგენაზე, მისი დაწერის დროს დადგენილი ფესვების დაცვაზე. თორემ ხდება ისე, რომ ყალიბდება ბრძანება, რომელშიც არ არის მითითებული, რის საფუძველზე ან რა მიზნით დაითხოვეს მოქალაქე სამუშაოდან. აღნიშნულ შემთხვევებში კი ასეთებს სასამართლო ორგანოები აბრუნებენ წინანდელ სამუშაო ადგილზე.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ დათხოვნას ‘ანდახანელს უწყობენ თვით პროფკავშირის ორგანიზაციები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების თავმჯდომარეები იმის ნაცვლად, რომ დაიცვან მუშათა და მოსამსახურეთა კანონიერი უფლებები, გაკონტროლონ შრომის კანონმდებლობის შესრულება, თვითონვე გამოდიან ადამიანთა სამუშაოდან განთავისუფლების ინიციატორებად, ადგილკომების წევრებისათვის ანგარიშგაუწევლად, პირადად აძლევენ თანხმობას ხელმძღვანელობას ამა თუ იმ მუშაკის განთავისუფლების თაობაზე.

იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ კანონიერებას, სამინისტროები, უწყებები, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ იჩენენ პრინციპულობას, არ ადებენ მათ დისციპლინურ და მატერიალურ სასჯელს. წარმოგიდგენთ ასეთ სტატისტიკას: უკანონოდ დათხოვნილთა სასარგებლოდ ხელფასის განაცდური ანაზღაურებულ იქნა 1979 წელს 45356 მანეთის ოდენობით. აქედან მხოლოდ 7 ათასი მანეთი დაეკისრათ ე. წ. მესამე პირებს. ე. ი. უშუალოდ ასეთი განთავისუფლების ინიციატორებს. 1980 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა შესაბამისად 33951 მანეთს და 4288 მანეთს, 1981 წლის 9 თვეში კი 26893 და 3732 მანეთს. კანონის დამრღვევემა თანამდებობის პირმა პასუხი უნდა აგოს მთლიანად იმ ზარალისათვის, რომელიც უნაზღაურდებათ მუშა-მოსამსახურეებს თვეობითა და ხანდახან წლობით სამსახურის იძულებითი გაცდენისათვის.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ ცალკეული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ცუდად ერკვევიან კანონმდებლობაში, ანდა უგულვებელყოფენ მას. სუსტად მუშაობს ამ მიმართულებით იურიდიული სამსახურის ყველა რგოლი, სწორად არ არიან შერჩეული კადრების განყოფილებების მუშაკები, სრულიად არადამაკმაყოფილებელია შრომის კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებული პროპაგანდა.

სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურები ყოველთვის არ სწავლობენ და არ ავლენენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზებს, არ იღებენ სათანადო ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. არც იურისკონსულტებისათვის გამიზნული თათბირ-სემინარები ფეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იურიდიული სამსახურები ცოტას ან სრულიად არ ეხმარებიან ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შრომის კანონმდებლობის გარკვევაში, კანონიერების უფრო დაცვაში.

სტატისტიკა, როგორც ცნობილია, ჩვენი ‘ყოველდღიური მუშაობის, ცხოვრების ამსახველი სარკეა, იგი საჭიროა ყველგან და ყველაფერში, მათ შორის შრომის კანონმდებლობის დარღვევის აღრიცხვისთვისაც. თუმცა, საერთო სტატისტიკური მონაცემები არსებობს, მაგრამ რატომღაც არ ხდება მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის დარღვევების აღრიცხვა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. მიგვაჩნია, რომ ასეთი მონაცემები საჭიროა. ჩვენი აზრით, ეს მონაცემები რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციიდან თავს უნდა იყრიდეს რესპუბლიკის სამინისტროში ან პროკურატურაში. გარდა ამისა, შრომის კანონმდებლობის უფრო დაცვის საკითხი სწორედ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. (ტაში).

შევანელოთ დაძაბულობა, განვამტკიცოთ მშვიდობა

საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდ ყურადღებას იპყრობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის, ბონში გამართული მისი მოლაპარაკების შედეგები. მსოფლიო პრესა დაწვრილებით ბეჭდავს და განმარტავს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კომუნიკეს. გაზეთების კომენტარის, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამების ლაიტმოტივი ის აზრი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის საგარეო-პოლიტიკური მეცადინეობის მთავარი მიზანია მსოფლიოსადმი შექმნილი ბრთვული საფრთხის თავიდან აცილება, დაძაბულობის შენელების დაცვა, მშვიდობის განმტკიცება, ურთიერთხელსაყრელი, ნაყოფიერი თანამშრომლობის უზრუნველყოფა ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

● უნგრეთი

საბჭოთა კავშირ-დასავლ ეთ გერმანიის უმაღლესი ღონის შეზვდრის შედეგები გვმატებს რწმენასა და ოპტიმიზმს, აღნიშნავს უნგრული „ნეფსაბადშაგი“. ბონში საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წამოყენებულ კონსტრუქციულ წინადადებებს რომ ეხება, გაზეთი წერს, რომ ისინი არ შეიცავს არც ულტიმატუმურ მოთხოვნებს, არც ფუქ პროპაგანდისტულ ელემენტებს, ისინი ითვალისწინებენ კონკრეტულ მოქმედებას ორივე მხარისათვის მეტად მგრძნობიარე სფეროში.

● ჩეხოსლოვაკია

ბერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების უკვე პირველი შეფასება მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება სასარგებლო იყო არა მარტო ორივე ქვეყნისათვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც, წერს ჩეხოსლოვაკიის „**რუდე პრავო**“. მან განამტკიცა ევროპის მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შენობა.

● გდრ

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **კ. ბეკერმა** ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დაწვრილებით განიხილეს ბონში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები. როგორც მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, თქვა მან, მოლაპარაკების ცენტრალური თემა იყო საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული საკითხები. ფედერალური მთავრობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულად მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას განიარაღების თაობაზე და მიაღწიოს ამ მოლაპარაკებაზე კონკრეტულ შედეგებს. ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მთლიანად საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობას, მის გრძელვადიან ხასიათს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილ მასალებს ცენტრალური ადგილი უკავია დასავლეთ გერმანიის გაზეთების პირველ ფურცლებზე. „საჭიროა კვლავაც გამოვავლინოთ ერთობლივი აქტიურობა მშვიდობის განმტკიცებისათვის,—წერს „**უნზერე ციტი**“. უნდა აღდგეს დაძაბულობის შეჩნელებისა და ნდობის კლიმატი. ეს პრაქტიკული პოლიტიკის ძირითადი ორიენტაციაა — ასეთია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ბონში გამართული საუბრებიდან“.

ბონში ლ. ი. ბრეჟნევმა საუბრებთ გასაგებად თქვა თავისი სათქმელი, წერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეული „**ფორვერტსი**“. ახლა სიტყვა შეერთებულ შტატებზეა.

ეს იყო დიდი მეზობლის საჭირო და სასარგებლო ვიზიტი, წერს გაზეთი „**ნოიე რურ-ციტუნგი**“. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელების მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ სწორედ სერიოზული გართულების პერიოდშია საჭირო ერთმანეთთან დიალოგი, აზრთა სხვადასხვაობის გვერდის აუვლელად. ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს — თანამშრომლობის კურსი, კერძოდ ეკონომიკის დარგში, როგორც ეს გარკვევით აღინიშნა ვიზიტის დროს. ეკონომიკურმა ურთიერთობამ, რომლის სიმბოლოა შეთანხმება „გაზ-მილი“, ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური ურთიერთობის სტაბილიზაციას. მოვლენათა განვითარება ცხადყოფს, რომ ასეთი კურსი სწორია.

● ავსტრია

გონში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის მნიშვნელობის შეფასებისას ავსტრიის კანცლერმა **ბ. კრაისკიმ** განაცხადა, რომ ახლა საერთაშორისო ვითარება უფრო სასიკეთოდ გამოიყურება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამგვარი ვიზიტები სასარგებლოა, რადგან სახელმწიფო მოღვაწეებს შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს აზრი გაუზიაროს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ.

● აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით აღეკვნებდა თვალს საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს დასავლეთ გერმანიაში და ბონში მოლაპარაკების მსვლელობის დროს მის მიერ გამოთქმული ახალი საშშვიდობო ინიციატივები შეაფასა როგორც სსრ კავშირის იმ მისწრაფებისა და მზადყოფნის კიდევ ერთი დადასტურება, რომ მზად არის დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბირთვული შეიარაღების ნამდვილი შეზღუდვის შესახებ. ეს ნათქვამია ამერიკის „მშვიდობისათვის მეგრძოლ ქალთა“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის განცხადებაში. მიგვაჩნია, ნათქვამია განცხადებაში, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა მოილაპარაკონ იმის შესახებ, რომ მორატორიუმი დაუწესდეს ევროპაში ნატოს ქვეყნებისა და სსრ კავშირის საშუალო სიშორის ახალ რაკეტულ-ბირთვულ საშუალებათა განლაგებას. ასეთი ნაბიჯი შექმნის საჭირო ატმოსფეროს, რათა გაიმართოს მოლაპარაკება გამალებული შეიარაღების ალაგმვის შესახებ.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

საერთაშორისო
ლიტერატურა
ჟურნალი

27 ნოემბერი

● ჩინეთი

მორიგი სესია

პეკინი. აქ გამოაცხადეს, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მორიგი სესია მუშაობას დაიწყებს 30 ნოემბერს. ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის სხდომაზე.

როგორც იუწყებიან, სესია განიხილავს ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯაო ძიანის მოხსენებას „ახალდელი ეკონომიკური მდგომარეობის, აგრეთვე სამომავლო მითითებებისა და ამოცანების შესახებ“, ზოგიერთ კანონპროექტს. ადგილობრივ ჟურნალისტურ წრეებში ამტკიცებენ, რომ სესია განიხილავს აგრეთვე საკადრო გადაადგილების ზოგიერთ საკითხს.

● ბელგია

გვირგვინით შემკობა

ბონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით, რომელიც ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გვირგვინით შეამკეს ომის წლებში შტუტგენბროკის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული საბჭოთა ადამიანების ძეგლი. სულ ბანაკში ფაშისტმა ჯალათებმა 65 ათასი საბჭოთა მოქალაქე გაჟლეტეს.

● მექსიკა

მისია ჩაიფუშა

მეხიკო. უშედეგოდ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის მოლაპარაკება მექსიკის პრეზიდენტ ხოსე ლოპეს პორტილიოსთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ხ. კასტანიედთან.

როგორც პოლიტიკური მიმოხილველები აღნიშნავენ, ჩაიფუშა რეიგანის ადმინისტრაციის ყიდევ ერთი ცდა — ზეგავლენა მოეხდინა მექსიკის მთავრობაზე, რომლისგანაც ვაშინგტონი ჯიუტად მოითხოვს ხელი აიღოს ანტიიმპერიალისტურ დამოუკიდებელ პოლიტიკაზე.

გაზეთი „დია“ წერს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია გაღიზიანებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მექსიკას ნორმალური მეგობრული ურთიერთობა აქვს კუბასთან, სოლიდარობას უცხადებს ნიკარაგუას, და რომ მან სალვადორის რევოლუციური ორგანიზაცია წარმომადგენლობითს პოლიტიკურ ძალად ცნო.

როგორც ამერიკის პრესა წერს, მექსიკის პრეზიდენტმა გააფრთხილა შეერთებული შტატები, რომ ამერიკის ყოველგვარი შეარაღებული აქცია კუბის ან ნიკარაგუის წინააღმდეგ „კოლოსალური შეცდომა იქნებოდა, შეცდომა ისტორიის წინაშე“.

● თურქეთი

სასამართლო პროცესი ანკარაში

ანკარა. ტერორისტ მეჰმედ ალი აღჯას, რომელიც ამა წლის მაისში თავს დაესხა რომის პაპს იოანე პაველ მეორეს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა თურქეთის ნეოფაშისტებთან და მათი მფარველობით სარგებლობდა. ეს ფაქტები დადასტურდა აქ მიმდინარე სასამართლო პროცესზე ნაციონალისტური მოძრაობის ნეონაციონალისტური პარტიის ა. თურქეშისა და აწ დათხოვნილი ამ პარტიის სხვა ლიდერთა საქმის გამო.

სამხედრო პროკურორმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მეჰმედ ალი აღჯამ გაუგზავნა ახალმოვლენილ თურქ „ფიურერს“ თურქეშს. წერილში ტერორისტი, რომელსაც ბრალი მიეძღვის აგრეთვე სტამბოლის გავლენიანი გაზეთის „მილიეთის“ მთავარი რედაქტორის ა. იფეკჩის მკვლელობაში, „მხურვალე მადლობას“ უხდის ნეონაციისტებს ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომლის წყალობითაც არავითარ გაჭირვებას არ განიცდის, მეჰმედ ალი აღჯა შეჰპირდა თურქეშს, რომ „ღირსეულად განაგრძობს თავისი მისიის შესრულებას“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სესხ